№ 51

კვირა, 8 მარტი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 51

კვირა, 8 მარტი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ივერია“

გამოვა 1898 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

**ტ ფ ი ლ ი ს ი,**

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და

ბაქოში, ხიდიქელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

**ტელეფონი № 227.**

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში
**მ. ბარკალაიას მიერ გამოცემული**
ახალი წიგნი

## სამღვდელო გამოცანები

(ზმაკიდურები ჩვენს მღვდლებზედ)

**თ. ნ. ტ. დადიანისა**

წიგნი შეიცავს 33 გვერდს და ჰღირს სამი შაური. ვინც ასს წიგნს ერთად იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, მანათზე აბაზი დაეთმობა. (—220—8)

**ტფილისის საურთიერთო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო** ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ საზოგადო მორიგი კრება ამა საზოგადოების წევრთა დანიშნულია კვირას, 8 მარტს, დილის 10 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში.

განსახილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში 1897 წ.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

3) მოხსენება წლიურ ანგარიშის შესახებ.

4) ხარჯთ-აღრიცვა 1898 წლისა.

5) შეცვლა და შევსება წესდების მე-17 და 24 §§-ისა,

და 6) არჩევანი ერთის დირექტორისა, თავ. ვ. ს. მიქელაძის მაგივრად, რომელიც რიგისამებრ ანებებს სამსახურს თავს; საბჭოს ორის წევრისა, რომელნიც წილის ყრით ანებებენ სამსახურს თავსა, და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა. (2—6.—2)

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. შუღინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову**

(წ)

ტფილისი, 7 მარტი

„თებერვლის 4-ს ამა წლისა, როგორც ამას გვაუწყებს გაზეთი „НЕДѢЛЯ“ № 7, ნიჟეგოროდის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას დაუდგენია იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რათა ამ გუბერნიის საზოგადო განათლების ხასიათის საშუალო სასწავლებლები სრულიად გადასხვაფერდეს. ნიჟეგოროდის გუბერნიის თავად-აზნაურთა აზრით აუცილებლად საჭიროა ან სრულიად განიდევნოს, ან შემცირდეს სწავლება ლათინურისა და ბერძნულის ენებისა. კრება შუამდგომლობს აწ არსებულის კლასიკურის გიმნაზიების მაგიერ ორნაირის სახის საშუალო სასწავლებლები დაარსდეს: ერთნაირში სრულიად უნდა მოისპოს ბერძნულის ენის სწავლება და შემცირდეს ლათინურის ენის გაკვეთილები, ხოლო მეორე ნაირში ორივე ენის სწავლება სრულიად მოისპოს, იმათ მაგიერ ადგილი მიეცეს კანონდებულების შესწავლას, ბუნების მეტყველებას, ჰიგიენას და სავალდებულო იყოს ფრანგულის და ნემეცურის ენების შესწავლა. გარდა ამისა, კრება სთხოვს: მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ყმაწვილების ფიზიკურ განვითარებას, მოისპოს გადასასვლელი ეგზამენები, მიეცეს უფლება რეალურ სასწავლებელში სწავლადამთავრებულთ შევიდნენ უნივერსიტეტში ბუნების მეტყველების, ფიზიკო-მათემატიკისა და სამკურნალო ფაკულტეტებზედ“. კრებას ამ საყურადღებო საგნის გაცნობა და აზრის მოხსენება მიუნდვია შარშან ცალკე კომისიისათვის, რომელსაც შეუკრებია მრავალი საინტერესო სტატისტიკური ცნობა. სხვათა შორის, აი რას ამბობს ეს კომისია თავისს მოხსენებაში: „კლასიკურის სისტემის წყალობით მხოლოდ 30% მოსწავლეებისას შეუძლიან დაასრულოს სწავლა, დანარჩენი 70% ვერა სძლევს უსარგებლო, მკვდარ ენების სწავლას და ამიტომ კურსს ვერ ათავებს. ყოფილა ისეთი წელიწადებიც, როდესაც ნიჟეგოროდის სათავად-აზნაურო ინსტიტუტში მხოლოდ 12% გაუთავებია სწავლა, დანარჩენი 88% გამოუდევნიათ, ვითარცა „უვარგისი“...“

სწორეთ რომ სანატრელი წარმომადგენლები ჰყოლია ბედნიერს ნიჟეგოროდის თავად-აზნაურობას! შენი არ ვიცი, მკითხველო, და მე კი შურის თვალით ვუცქერი და ვნატრულობ, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამაც წაბაძოს იმათ დიადს და ფრიად სასარგებლო მაგალითს· მე აქ უნებლიედ ვადარებ ჩვენი ქვეყნის საშუალო სასწავლებლებს ნიჟეგოროდის გუბერნიის სასწავლებლებს. თუ ნიჟეგოროდის გუბერნიის გიმნაზიებსა და ინსტიტუტში 30% და ხან 12% ათავებს სწავლას, ჩვენს გიმნაზიებში ეს %, ცხადია, ერთი ორად და ერთი სამად ნაკლები არის. საქართველოს დედა ქალაქს ტფილისში არსებობს სამი გიმნაზია და რამდენი ქართველი ათავებს სწავლას თვითოეულს მათგანში ყოველ წელს? ერთი ან ორი, ძვირად სამი და ოთხი; თუ ხსოვნა არა გვღალატობს, ესეთი წელიწადებიც ყოფილა, როცა არც ერთს ქართველთაგანს არ დაუსრულებია იქ სწავლა. ეს სამწუხარო მოვლენა ადვილად ასახსნელია. ახლა ეს იფიქრეთ. თუკი ნიჟეგოროდის გუბერნიის მოზარდი

## ფელეტონი

**ნაწყვეტი**

ნუ იმაყებ, თუნდ იყო
ცხრა-თავა ბაყბაყ-დევია,
ნუ იტყვი: ის რას დამაკლებს,
მე ვარო მძლეთა-მძლევია;
გახსოვდეს: კოვზსა პაწიას
დიდი ზღვა დაულევია,
„ალვისხე ცამდის ასული
ჭინჭველას წაუქცევია“!

დ· მაჩხანელი

**წერილი მეგობართან**

„უზღუდონი,
გზა-მრუდონი,
ირ გამტანი და ცბიერი,
მტრის არ მცნობი,
მოყვრის მგმობი,
სხვასთან მხდალი, შინ ძლიერი“.
(ბედნიერი ერი. ი. ჭავჭ.)

ძმაო რაფიელ! ტყუილად მისაყვედურებ, რომ ვითომ გართული ამ მშვენიერს ქვეყანაში, ქვა მოგაგდე და დაგივიწყე. დავიწყებით კი როგორ დაგივიწყებ, მაგრამ მრცხვენის აქაურ ამბების მოწერა: რა სასიამოვნოა, შენი ჭირიმე, კარგის მამულიშვილისთვის თავისს მოძმეთა უსიამოვნო, სამარცხვინო ამბების გამოაშკარავება?! ჯერ მე, მათი მაყურებელი და მსმენელი, რა სიამოვნებასა ვხედავ, რომ სხვასაც გავუზიარო ის სისაძაგლე, რომელიც აწ ჩვენში ჰსუფევს?! შენ ბედნიერი იმითი ხარ, რომ შორს მაინცა ხარ და ბედმა გაშორა ჩვენის ზნეობრივად ასე დაცემის ყურება; მაგრამ მე, რომელიც იძულებული ვარ აქ ვიყო, მათ შორის ვიტრიალო, ვერ წარმოიდგენ, რა ნაირად ვიტანჯები სულითაცა და ხორცითაც; ზნეობრივს ტანჯვას დიდი გავლენა აქვს სხეულზედ: ადნობს, ახმობს, ასნეულებს ადამიანსა...

გახსოვს, პირველად რო წავიკითხეთ: „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?“, ერთხმად წამოვიძახეთ: „მწერალმა ხომ არ გადააჭარბა: ნუ თუ, მართლა, ჩვენს წინაპართ ეკუთვნის ეს სიტყვები: „ფერ-მიხდილნი ბეზღობაში ერთმანეთს ვეჯიბრებოდითო?!“ ვგმობდით ამ სიტყვებისთვის პოეტს და გვიან-ღა დავინახეთ, რომ ჩვენ ვცდებოდით, და ის-კი მართალი იყო... არამც თუ მაშინ იყვნენ, დღესაც არიან ქართველთა შორის ამ გვარი მამულიშვილები, მხოლოდ „ფერ-მიხდილნი“ კი არა, აღვირაშვებულნი, თავ-მომწონენი, მოცინარნი, თავ-მაღლა-ყელ-მოღერებულნი, თითქო სიამაყის ღირსის საქმის მომქმედნი, თითქოს გამარჯვებულნი სარდალნი!...

როგორც ჰხედავთ, ჩვენნი წინაპარნი „ბეზღობაშიაც“ კი ჩვენზედ უფრო პატიოსანი იყვნენ: ალბად, სცხვენოდათ ცოტად მაინც თავის საქციელისა, რომ „ფერ-მიხდილნი“ იყვნენ. ჩვენ ამ მცირე ღირსებასაც მოკლებულნი ვართ: ვამაყობთ, ვბაქიობთ საქვეყნოდ ჩვენის საზიზღარ საქციელით!.. არა ვგონებ როდისმე ყოფილიყოს ასე გავრცელებული ცხადი, თუ საიდუმლო ურხელო დასმენა, როგორც დაბა-სოფელ-ქალაქებში გავრცელდა ამ უკანასკნელ ხანს. ვინ ვის და ვისთან არ ასმენს?!. ცოლი ქმარს, ქმარი ცოლს, შვილი მამას, მამა შვილს, უფროსი ხელქვეითს, ხელქვეითი უფროსს, ერი მღვდელს, მღვდელი ერს და სხ. და წარმოიდგინეთ—მოთავედ ვინ არის? ეგრედ წოდებული „ინტელლიგენცია“, ესე იგი ისინი, რომელთაც შორიდგან უსუნავთ და გემოვნებაკი არ გაუღიათ ნამდვილის სწავლა-განათლებისა, რომელთა შორის, სამწუხაროდ, არა უკანასკნელი ადგილი უჭირავთ მასწავლებელთ! აბა რა კეთილი უნდა ასწავლონ ამგვარმა ბატონებმა, გავარჯიშებულებმა ბეზღობაში, დაბალს, გაუნათლებელ ხალხს, ახალ მოსწავლეთ, თუ არ ფლიდობა, გაუტანლობა, ორ-პირობა, ენა-ტანიობა?! ნუ თუ ზნეობრივად ასე გარყვნა მრუშობაზედ უფრო საზიზღარი არ არის და არ უნდა იყოს?!. რა ღონისძიებას არ ჰხმარობს საზოგადოება, სახელმწიფო რომელისამე გადასადები სენის მოსასპობლად, დაბა-სოფელ-ქალაქებში არ გასავრცელებლად, და ნუ თუ ეს სენი, როგორც დასმენა, საზოგადოების მიერ ნაკლებ ყურადღების ღირსია?! სხეულის ავადმყოფობას, სენს საშუალება აქვს, მალე მოისპობის იგი, მაგრამ ზნეობრივი ავადმყოფიერი ძნელადღა განიკურნების, თუ თავისს დროზედ არ უწამლეს.

ნეტავი, თქვენის დღეგრძელობით, დასმენას საბუთი ჰქონდეს, სიკეთე ხალხისა ჰქონდეს სახეში. ესეც რომ არ არის?! ის შეთხუზული დასმენა რომ დამყარებულია პირადობაზედ?!

მკითხავთ, რად სჩადის ეს რაინდი დასმენისა ასეო? აი რისთვის: „თუ ერთის გაზეთის საშუალებით თავს ლაფი ვერ დავასხი ჩემ მიერ მიზანში ამოღებულს, მეორის წყალობით ხო მაინც შევასრულებ ჩემ გულის წადილსა: მივაქცევინებ ყურადღებას —ვისიც ჯერ არს: თუ ერთ გაზეთს არა კითხულობს იგი, ვისთანაც ვასმენ, მეორეს ხომ აუცილებლივ წაიკითხავს, ამბობს თავის გულში ჩვენი სიკოფანტი და არც სცდება... რაებს არა ჰგზავნიან ამ ჟულაბის კორრესპონდენტები საცოდავ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში! რედაქტორებიც საქმის ვითარების არ მცოდნენი— და ან საიდგან ეცოდინებათ—ჰბეჭდვენ ნაყოფს ამ ვაჟბატონთა ჭკუასინიდისისას, მოკლებულს ჭეშმარიტებას და, ესრედ, ძალა უნებურად ხდებიან თანამოზიარენი დამსმენთა... რასაკვირველია, ადგილობრივმა მცხოვრებმა იცის, რის მუცლის გვრემაც აქვს ავტორს, და რომ და ვინ გამოიწვია მისი საზიზღარი სიცრუე დასმენა, მაგრამ გაჩუმებულია, რამეთუ ძლიერ კარგად იცის, რომ ავს სიავის მეტი არა შეუძლიან-რა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაობა ასე დაუჩაგრავს ბერძნულსა და ლათინურს ენებს, რომ მშობლები იძულებული გამხდარან მიჰმართონ,—რანაირს მდგომარეობაში უნდა იყოს ქართველი მოზარდი თაობა?!

ნიჟეგოროდის გუბერნიის თავად-აზნაურობა ამბობს: „შუამდგომლობა ამ საგნის შესახებ მარტო უფლება კი არ არის ჩვენი, არამედ წმინდა და აუცილებელი მოვალეობაა როგორც მოწინავე წოდებისა, როგორც მშობლებისა, რომელნიც კანონითა და ზნეობით მოვალენი არიან იზრუნვონ თავიანთის შვილების გონივრულად აღზრდისათვისო“.

სწორეთ ასევე უნდა იფიქროს და იზრუნვოს ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობამაც, ვიმეორებ, ეს საგანი—აღზრდა მოზარდის თაობისა—დიდი საგანია და ღირსია მისი, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ მიაქციოს სრული თვისი ყურადღება და მიემხროს ნიჟეგოროდის თავად აზნაურობის სამაგალითო შუამდგომლობას.

მ—ი

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 7 მარტს, ქალაქის გამგეობამ წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად წესდება ქალაქის სამკურნალოსი და წიგნთ-საცავისა. ეს წიგნთ-საცავი დაარსებული იქმნება მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის გვირგვინის კურთხევის სახსოვრად. წესდება დამტკიცებულია შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან. სამინისტრომ მხოლოდ § 1-ში გამოაკლო წიგნთ-საცავის სახელ წოდებას სიტყვები „მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის გვირგვინის კურთხევის სახსოვრადაო“, რადგან ასეთი სახელი მაშინ შეიძლება დაედოს, თუ იგი ქონებრივად უზრუნველ-ყოფილი იქმნებაო. ამის გამო საბჭომ გარდასწყვიტა აძლიოს ქალაქის ფულიდგან ამ წიგნთ-საცავს ყოველ წლივ 4,000 მან. ეხლა ქალაქის თვით-მართველობა შუამდგომლობს, რომ ნება დაგვრთეთ წიგნთ საცავ-სამკითხველოს ასეთი სახელი ვუწოდოთო.

*** როგორც ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყეთ, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ბ-ნი ლინდენი პეტერბურგში მიდის შემდეგის საგნების განსახილველად: ტფილისში ტელეფონის საქმის განკარგება დ გაფართოება, ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში მოსამსახურეთა შტატების გამრავლება, მათთვის ჯამაგირის მომატება და სხვანი.

*** სახალხო კითხვების გამგენი სთხოვენ ტფილისის საკრედიტო საზოგადოებას, რომ რაიმე დახმარება აღმოუჩინეთ სახალხო კითხვების მმართველ კომისიასაო. საზოგადოების სამმართველო თანაგრძნობით მიეგება თურმე ამ თხოვნასა და განზრახვა აქვს ცალკე მოხსენება წარუდგინოს საზოგადოების წევრთა კრებას, რომელიც 15 მარტს უნდა იყოს.

*** ამ ჟამად ტფილისში ჩამოვიდა ფინანსთა სამინისტროს სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტის სამოსწავლო ნაწილის ოლქის ინსპექტორი ბ-ნი მორევი. ბ-ნის ინსპექტორის ჩამოსვლას დიდი კავშირი აქვს თურმე ტფილისში საკომერციო სასწავლებლის დაარსების საქმესთან.

*** ქუთაისის გუბერნიის, სოხუმის ოლქის, კოდორის ნაწილის, ჩილის სასოფლო-სამმართველოს ნება დაერთო მიიღოს და ჰგზავნოს უბრალო კორრესპონდენციები და ჰყიდოს ფოსტის მარკები.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ეკკლესიების ბლაღოჩინმა მამა ნანაბიშვილმა მართლ-მადიდებელთა ეკკლესიას შემოუერთა მაჰმადიანი ფაშა-ალი-ოღლი.

*** 20 მარტს ქუთაისის ოლქის სამართლოს სესია გაარჩევს ბათუმში საყურადღებო საქმეს პ. სიმონოვისას, რომელიც ერთი მონაწილეთაგანი იყო სახპეტოვის ცნობილს ფქვილის საქმეში.

*** უკვე ბუხგალტერის მიერ გამორკვეულ ანგარიშიდამ სჩანს, რომ ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს შარშანდელის წლის მოქმედებისაგან დარჩენია წმინდა მოგება 185,407 მანეთი და 83 კაპ. ორი ათას ოცის თუმნით მეტი, ვიდრე წინა წელს. აქედამ საზოგადო საჭიროებისათვის დასანიშნავს ფულს შეადგენს 62,428 მან. და 60 კაპ. და სასოფლო მეურნეობისათვის—19,016 მანეთს და 19—კაპ. ამ სახით გამოდის რომ ბანკის საზოგადო კრებას ხელთ ექმნება 81,444 მანეთი საზოგადო საჭიროებისა და სასოფლო მეურნოებისათვის მოსახმარებლად.

*** ეხლა ხან გამოცხადებულ იქმნა შედეგი უკანასკნელ აღწერილობისა და გამოდის, რომ 50-ს რუსეთის გუბერნიებში, რომელნიც მდებარეობენ ევროპაში, სულ 94,215,000 სული სცხოვრებს; ამათში 46,447,000 მამა-კაცია დ 47,764,000 დედა-კაცი, ვისლის პირის 10-ს გუბერნიაში 9,455,000 სულია, ამათში 4,761,000 მამაკაცია და 4,691,000 დედა-კაცი. კავკასიაში მცხოვრებელი სულ 9,248,000 სულია, ამათში 4,891,000 მამაკაცია და 4,357000 დედა-კაცი. შუა აზიაში 7,721,000 სულია, ამათში 4,158,000 მამაკაცია და 3,562,000 დედა-კაცი; ციმბირში 5,727,000 სულია, ამათში 2,954,000 მამაკაცია და 2,772,000 დედაკაცი. სულ მთელს რუსეთის იმპერიაში ფინლიანდიით 126,411,000 სულია, ამათში 63,253,000 მამაკაცია და 63,158,000 დედაკაცი.

კავკასიაში ყველგან მამა-კაცობა მეტია დედა-კაცობაზე.

*** გაზ. „Нов. Вр.“ სწერს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა წესდება გარდასახლებულთა დამხმარებელ საზოგადოებისა, რომელიც არსდება ქ. ტფილისშიო.

*** გაზ. „კავკასის“ სიტყვით, მოსკოვისა და კოლომენის მიტროპოლიტად ახლად დანიშნული, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ვლადიმირი დღეს, 8 მარტს, სწირავს ტფილისის სასულიერო სემენარიაში. წირვის შემდეგ მათი ყოვლად უსამღვდელოესობა გამოსათხოვებელ სიტყვას წარმოსთქვამს. ორშაბათს ან სამშაბათს აბასთუმანში წაბრძანდება, ხოლო იქიდგან დაბრუნების შემდეგ მისი მეუფება კვირას, 15 მარტს, უკანასკნელად სწირავს ტფილისში, გამოეთხოვება სამწყსოს და შემდეგ სამხედრო-საქართველოს გზით მოსკოვში წაბრძანდება.

*** გაზ. „Черн. Вѣст.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, რომ მთელი ქუთაისის გუბერნია დღესაც თავად ივანე და იმის მამის დავით გურიელების საქმის შესახებ ლაპარაკობს, რომელიც 27 თებერვალს იქმნა გარჩეული ქუთაისის ოლქის სასამართლოშიო. განაჩენის წაკითხვის შემდეგ გამართლებული და განთავისუფლებული თავადი ივანე გურიელი მარტოდ გამოვიდა სასამართლოს შენობიდგან ქუჩაში და ჩვეულებისამებრ საპატიმროში წავიდა. დარაჯებმა, რომელნიც იცნობდნენ თავადს, არ დაუშალეს დ საპატიმროში თავისუფლად შეუშვეს. გულ-ნატკენი დ დაღონებული თავ. ივ. გურიელი საპატიმროში მაშინვე დაწვა დ მხოლოდ მეორე დღეს, დილის 10 საათზედ, ადგა. ყველა, ვინც-კი იცნობს თავ. ივანე გურიელს, იმას ამბობს, რომ იგი მეტად პატიოსანი და კარგი ახალგაზდა კაციაო. ივანე გურიელის მამა, რომელმაც, როგორც უკვე ყველამ უწყის, აბიბა ბერაძეს ქალი შეირთო, საქმის გარჩევის შემდეგ ტფილისში წავიდა, რათა იშუამდგომლოს, რომ იმისი ქონება მზრუნველს ჩამოართვან და თითონ იმას ჩააბარონო.

*** ქ. სიღნაღი. 22 თებერვალს კნ. ნ. ს. ანდრონიკაშვილის თაოსნობით ნუკრიანის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ჩვენის დაუვიწყარის გმირის მეფე ერეკლეს გარდაცვალებისა და დაკრძალვის ასის წლის შესრულებისა გამო. თუმცა მეტად ცუდი ამინდი იყო ამ დღეს, მაგრამ ხალხმა ბლომად მოიყარა თავი ეკკლესიაში. მღვდელმა ვასილ ნათიძემ გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა ხალხს მეფის მოღვაწეობის შესახებ. ამავე დღეს სიღნაღშიაც იქმნა გარდახდილი წირვა და პანაშვიდი მეფის სულის საოხად. კარგი იქმნებოდა, სიღნაღელ ქართველობას იმითიც ეცა პატივი მეფისათვის, რომ იმის სახელობაზედ დაარსებულ ფონდისათვის ცოტა რამ შეეწირა.

*** სოფ. დვაბზუ, (ოზურგეთის მაზრა). როგორც მოგეხსენებათ, საზოგადოდ ყველა უთავო ოჯახში იშვიათად თუ რამე რიგიანი საქმე გაეწყობა. დვაბზუელებსაც ამგვარი სენი გვჭირს, მაგრამ ამისდა მიუხედავად აქაურის ახალგაზდა ინტელლიგენტების შემწეობით აქ ეხლა ორი საქმე გვაქვს გამოწყობილი: წიგნთ-საცავი და ბანკი. პირველის შესახებ ნება-რთვას უკვე მოველით; მეორეს შესახებ 21 თებერვალს ადგილობრივის მასწავლებლის ბ-ნ ირ—ლე ღ—ტის თაოსნობით კრება იყო დვაბზუის სოფლის სკოლის დარბაზში და კენჭით ამორჩეულ იქმნა ყველა საჭირო სათანამდებობო კაცები ბანკის მართვა-წარმოებისათვის. კრებამ იმ დღესვე დაადგინა საწევრო ფულის შემოსატანი დრო ამა მდგომარე წლის 1 მაისიდგან 1 ივნისამდე. ბანკის დაარსების საშუამდგომლო თხოვნაზედ ხელი უწერია 90-მდე კაცს და უკვე იგზავნება იგი, სადაც ჯერ-არს. ვისურვოთ, რომ იმედი არ გაგვიცრუვდეს და მომავალში ჩვენს საიმედ-ნუგეშო საცდელს სასურველი ნაყოფი აღმოეცენებინოს დვაბზუის საზოგადების სასარგებლოდ.

შარშან პირველს ენკენისთვეს, ადგილობრივის მღვდლის, მამა ი—ნას თაოსნობით დაარსდა დვაბზუის წმ. გიორგის ეკკლესიასთან წერა-კითხვის სკოლა, რომელშიაც 60-მდე მოსწავლე ქალ ვაჟი სწავლობს.

---

შორს ყოფნა სჯობია, ახლო მიკარებას, გაჭუჭყიანებას.

მერე რა სიცრუვე არა სწერია ხოლმე! მაგალითად: „ესა და ეს პატივცემული გვამი მობრძანდა ჩვენს სოფელში, (დაბაში ქალაქში). მთელი საზოგადოება შეყრილი იყო. სიამოვნებით და ყურადღებით მოისმინა რა გრძნობით წარმოთქმული სიტყვა პატივცემულის სტუმრისა, ერთხმად გარდასწყვიტა“ ... და სხ. ამდენ სიტყვებში მართალი მხოლოდ ის არი, რო „ესა და ეს გვამი მობრძანდა“, დანარჩენი მტკნარი, ცოცხალი ტყუილი, სიცრუვეა: როგორც შენ არ ამოგიღია და არ გითქვამს ის სიტყვა, რომელსაც ავტორი მას პირში სჩრის, ისე იმას! სოფელში ასი-ორასი კომლია, შეიყარა მხოლოდ ათი-თორმეტი უსაქმოდ, ქუჩა-ქუჩა მაწანწალა მცხოვრები, ხშირი და ერთგული სტუმარი მიკიტან-ხანებისა,—და ნუ თუ ეს 10—12 კაცი შეადგენს მთელ საზოგადოებას?!. ანუ: „ამა და ამ საზოგადოებას ჰქონდა ყრილობა და სჯა შესახებ ბოროტ-მოქმედებისა ამა და ამ კაცისა და ერთ ხმად გარდასწყვიტა: უკეთუ იგი არ იქმნება მთავრობის მიერ საზოგადოებიდგან განდევნილ, მთელი საზოგადოება იძულებული შეიქმნება გარდასახლდეს, რჯულს და წესს უღალატოს. მეოხედ მთავრობის წინაშე აღმორჩეულ იქმნა ესა და ეს. კითხულობ და არა გჯერა,—თვალებს იფშვნეტ, მაჯას ისინჯავ და განცვიფრებით ჰკითხავ შენ თავს: „ნუ თუ ესე სწერია, გაზეთში, როგორც ამოვიკითხე,—თვალები ხო არ მატყუებს და სიზმარში არა ვხედავ ამას?!. ვაჲო! მეც ერთი წევრთაგანი ვარ ამ საზოგადოებისა და მე რატომ არა ვიცი რა ამ საყურადღებო გარდაწყვეტილებისა“?! აქეთ ვეცი, იქით ვეცი, ბოლოს, პუპუზ! გამოვიდა, რო ყოველი ესე გახლავს ნაყოფი მაწანწალების ტვინისა, სოფლის პირველ მეჭორე-გაიძვერასი, რომელიც ნათლობაში არ დაჰპატიჟა იმან და იმის წინააღმდეგ იმიტომ გაილაშქრა თურმე... ამ გვარად ყველაფერი გაზვიადებულია ხოლმე—ბუზი აქლემად არის ნაქცევი, აქლემი-ბუზად—ქება იყოს თუ ძაგება: ესე დამოკიდებულია იმისაგან, რა კავშირი აქვს ავტორს იმ კაცთან, რომელსაც მისი ნაბლაჯი შეეხება. ამ გვარი კორრესპონდენტები ძირს უთხრიან უიმისოდაც ღარიბს ხელის მომწერლებით ჟურნალ-გაზეთებს, ძირს უთხრიან საერო, საქვეყნო საქმეს: მკითხველს ნდობა ეკარგება დასტამბულის სიტყვისა, აღარა სჯერა რა მისი, ეჭვშია: „ვაჲ თუ ესეც ისეთი მართალი იყოს, როგორც ჩვენის მხრიდგან მიწოდებული ამბავიო“, ეჭვობს სამართლიანადაც. მავნებელნი, მტერნი არიან ცრუ-პენტელა კორრესპონდენტები გაზეთისთვის, მაშ რა ჯანდაბა-დოზანანი არიან?!. დიდი დამნაშავეა მწერლობის წინაშე ის, რომელიც თავისის სიცრუით უკლავს მკითხველს რწმუნებასა და ნდობას ჟურნალ-გაზეთისას!..

იტყვი: „დეე სწერონ, რამდენიც და რაც უნდათ: დღეს თუ ხვალ სიმართლე თავს იჩენს, არ დაიმალება და ისინივე პირ-შავად დარჩებიანო“. თეორიულად, ჩემო კარგო, მართალია—თვით რუსთველმაც სთქვა: „ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელიაო“,—მაგრამ ჩვენ ცხოვრებაში-კი, თუ მუდამ არა, ხშირად მაინც, პირ იქით სულ სხვა, ამისი წინააღმდეგი მოხდება ხოლმე: მართალი, უანგარო, უეშმაკო, გულახდილი კაცი ჰხდება მსხვერპლი გაიძვერა-ბოროტისა და ბილწისა, რომელთანაც იმას ბრძოლა უკადრისად მიაჩნია: „რაკი მართალი ვარ, ვინ რას მიზამსო?!.“ თავ-მომწონედ გაიძახის არა ცხოვრების მცოდნე საცოდავი,—და ის-კი არ იცის, რომ მისი მტერ-მოყვარენი დასტა-დასტაზედ წარმოადგენენ, როცა „ჟამი იგი მოვა“, მოწმებს, რომელნიც ჯვარსა და სახარებაზედ დაიფიცებენ, რომ თავიანთის კეთილის თვალით უნახავთ უხილავი, თავიანთის ყურით გაუგონიათ არა თქმული, და მით, რასაკვირველია, უბედურს დაამხობენ, ძირს დასცემენ, ჩირქს მოსცხობენ, ცოცხალს სამარეში ჩასდებენ!..

ამისი მაგალითი მრავალია და შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ჩვენი მხსნელი: ქრისტეზედ უწმინდესი, უმანკო და ბრძენი ვინ იყო? ისიც-კი ჯვარს აცვეს და ჰგმეს, და ჩვენისთანა, როგორც მე დ შენ ვართ, ერთ ცოდვილ, ხეპრე ხალხს, ჩემო ძამიავ, ხომ რას გვიზმენ...

დროა, საჭიროა ყურადღება მიაქციოს საზოგადოებამ ამათ და მოურიდებლივ გამოუცხადოს თავისი ზიზღი, მოერიდოს, როგორც ვერიდებით კეთროვანთ, ყოველგვარ გადამდებ სენს ავადმყოფობას. მერწმუნე, ერთ-ორს რო ასე მოექცეს საზოგადოება, დანარჩენთ საღერღელი დასმენისა, მეტიჩრობისა სამუდამოდ მოეშლება. თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, იმით წაქეზებულთაგან, რო საზოგადოება არას გვეუბნებაო, ვინ იცის რას არ უნდა მოველოდეთ... რატომ არ უნდა მოველოდეთ, რო რომელმამე ამ ჯურის ვაჟ-ბატონთაგანმა მთელი საზოგადოების, ქვეყნის, მხრის მაგივრად არ შესთხზას და არ მიართოს—ვისიც და სადაც ჯერ არს—იმისთანა თხოვნა-აჯა, რომელიც მთელს ერსა და ქვეყანას მოსცხებს ჩირქს, დასცემს, დაამხობს ძირს?! ვითომ ჩვენს ისტორიაში ამგვარი მაგალითი არ მოიპოვების?! ეჰ, რაღა გითხრა?! სჯობს გავჩუმდე და დავდო ბაგეთა ჩემთა კლიტე სიჩუმისა... „ან ეს, რაცა ვთქვი, რადა ვთქვი, თუ რაც მინდოდა, ვერა ვსთქვი“, გრიგოლ ორბელიანისა არ იყოს!

შენი ძმა და მეგობარი ავთანდილ
ავთანდილიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** გუშინ, 7 მარტს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სასამართლომ გაარჩია საქმე ყაზბის ს. ნაზაროვისა, რომელსაც ისა ჰბრალდებოდა, რომ სავაჭრო-სამრეწველო ზედამხედველის თანაშემწეს მ. საფარიანცს, თანამდებობის აღსრულების დროს სიტყვით შეურაცხყოფა მიაყენა. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ნაზაროვი და ორის თვის საპატიმროში დაპატიმრება მიუსაჯა.

*** 5 მარტს, საღამოს 9 საათზედ, „იუნი ნომრებში“, ქართველ არტისტის ვ. აბაშიძისა და იმის ნათესავის ზ. საფაროვის შორის ჩხუბი მოხდა, რომლის დროსაც ამ უკანასკნელმა ხელში დასჭრა ვ. აბაშიძე. ჭრილობა იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ მიხეილის საავადმყოფოში იძულებული გახდნენ ექიმები მარცხენა ხელის ნეკი სრულიად მოეჭრათ ვ. აბაშიძესთვის. და ორი თითი გაეკვეთათ. საფაროვი შეიპყრეს და მეორე ნაწილის გამომძიებელს წარუდგინეს.

*** სატახტო ქალაქების გაზეთები სწერენ, რომ საფრანგეთის ცნობილი ასტრონომი კამილ ფლამარიონი რუსეთში მოსვლისათანავე ყოველ საასტრონომიო ობსერვატორიას დაათვალიერებს და მათ შორის აბასთუმანის სამთო ობსერვატორიასაცაო.

*** კვირას, 8 მარტს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგურში წაიკითხავენ ლექციებს: პ. რ. პრიტულენკო—დედა-ფუტკართა შესახებ, ა. ა. ქალანთარი—რა თვისება აქვს რძეს კვების მხრივ, დ. მ. როსსინსკი—აბრეშუმეულ ტანისამოსის ისტორია. აბრეშუმეულობა, მისი გავრცელება, რა დამოკიდებულება აქვს მეცნიერებასთან, მისი ისტორია და განვითარება. ლექციების კითხვა 12 საათზედ დაიწყება. შესასვლელი ფასი 10 კაპ. მსურველთ ბილეთი და პროგრამმა უნდა აიღონ სადგურის ასავალთან.

*** ს. ა ქ ს ტ ა ფ ა. 6 მარტს, ღამის პირველ საათზედ, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებელი ანდრია სიკოს ძე ხაბურზანია,—20 წლისა, ოთახში მკვდარი ნახეს. ხაბურზანია ნახშირის სუნისაგან მომკვდარა.

## ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების 1897 წლის ანგარიში.

დღეს, კვირას, 8 მარტს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში დანიშნულია კრება ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა წარსულ 1897 წ. ანგარიშის განსახილველად. ეს ნორჩი საზოგადოება, როგორც ვიცით, სულ ორ წელიწად ნახევარია, რაც დაარსებულია, და ეს მეორედ იწვევს თავისს წევრთ საზოგადო კრებაზედ.

როგორც საზოგადოების 1897 წლის ანგარიშიდგანა სჩანს, ამ საანგარიშო წელს ძირის თანხა 62,891 მან. გამხდარა. ამ მხრივ ჩვენს საზოგადოებას მთელის რუსეთის 99 საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა შორის თითქმის საშუალო ადგილი უჭირავს, იმისდა მიუხედავად, რომ მისის წესდებით უდიდესი საწევრო შესატანი 250 მან. არ აღემატება და წევრს მხოლოდ 10% შეაქვს იმ რაოდენობისა, რომლის პასუხის-მგებელიც თვით არის.

საერთო მოძრაობას ფულისას წარსულ წელთან შედარებით 507.766 მან. 68 კაპ. უმატნია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პირველი სამოქმედო წელიწადი 18 თვეს შეიცავდა, ამ წლის რიცხვი საერთო მოძრაობის ფულისა, რომელსაც თითქმის სამს მილიონამდე მიუღწევია (2.917.249 მან. 90 კაპ.), წინანდელთან შედარებით, დიდად კეთილ-საიმედოდ უნდა ჩაითვალოს!

ამავე წელს პირველ სამოქმედო წელთან შედარებით საზოგადოებაში დასაცავად შეტანილს ფულს 53.190 მან. უმატნია, ხოლო მიმდინარე ანგარიშით შეტანილ ფულს 74.130 მან. 73 კაპ.

თუმცა საანგარიშო წელს განაღდებულ თამასუქთა ფულის რაოდენობა 14.936 მან. 35 კაპ. ნაკლებია, მაგრამ თუ წინა წელიწადის თორმეტი თვე ავიღეთ შესადარებლად და არა თვრამეტი, მაშინ აღმოჩნდება, რომ ამ მხრივაც საზოგადოებას 90.800 მან. მეტის რაოდენობის თამასუქი გაუნაღდებია.

დღევანდელს კრებას საბჭო საზოგადოებისა სთხოვს, ნება დაგვრთეთ შუამდგომლობა აღვძრათ ბ-ნ ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ ჩვენს საზოგადოებასაც, სხვათა მაგალითისამებრ, უფლება ჰქონდეს გირაოდ აღებული სარგებლიანი ქაღალდები, საქონელი და სამეურნეო ნაწარმოები სხვა საკრედიტო დაწესებულებანში გადაგირავებისა.

გამგეობა ძალიან ფრთხილად მოქცეულა და ფული გაუცია მხოლოდ ისეთ წევრებისათვის, რომელთაც პირიანად და დროზედ დაუბრუნებიათ გატანილი სესხი. პროტესტში ამ საანგარიშო წელს წასულა სულ 3.570 მან. თამასუქი და ამ ფულში შემოუტანელი დარჩენილა მხოლოდ 20 მან., რომელიც საანგარიშო წლის მოგებით დაუფარავთ. აღსანიშნავია ისიც, რომ წევრთა რიცხვს 582-მდე უმატნია. ამ ნორჩის საზოგადოებისათვის ტფილისის თითქმის ყველა საკრედიტო დაწესებულებას ნდობა აღმოუჩენია და კრედიტი გაუხსნია. ამ მეორე წელიწადს საზოგადოების მოქმედებისას საქმე იმდენად კარგად წასულა, რომ საანგარიშო წელიწადს მოგება ჰქონია ₰ წევრთ შემთხვევა აქვთ დივიდენდის მიღებისა. საზოგადოება საწარმოებელ თანხის ერთის ნაწილის მოსაპოვებლად იძულებულ რომ არ გამხდარიყო სხვათა საკრედიტო დაწესებულებათაგან აელო ფული სესხად, რაც თვითვე ძვირად უჯდება,—მაშინ მას შეეძლებოდა ნაკლების სარგებლით გაეცა თავისს წევრთათვის სესხი და, ამას გარდა, წრევანდელის წლის დივიდენდი კმა-საყოფელი იქნებოდა იმათთვისაც-კი, რომელთაც თავიანთი საწევრო ფული იმ ანგარიშით შეაქვთ, რომ ამ ფულს რიგიანი სარგებელი აალებინონო, ამბობს საბჭო თავისს მოხსენებაში და დასძენს, რომ ჩვენი ახალი დაწესებულება მკვიდრს ნიადაგზედა სდგას და ჩქარა შესძლებს იმ საგნის განხორციელებას, რა აზრითაც იგია დაწესებულიო.

## მცირე შენიშვნა

—

ვინ არ იცის, რა გაჭივრებულს მდგომარეობაშია დღეს უმიწა-წყლობით თითქმის მთელი საქართველოს გლეხობა, უფრო-კი დასავლეთ საქართველოში. როგორც სტატისტიკურ ცნობებიდგანა სჩანს, ზოგიერთ ადგილას მოსახლე გლეხს ქცევანახევრის მეტი მიწა სახნავ-სათესად არა აბადია-რა. ამ მიწის სივიწროვის გამო მისმა ფასმაც ძალიან აიწია; მაგალ.., ზოგიერთ სოფლებში (უფრო ზემო იმერეთსა და რაჭაში) ქცევა მიწა ჰღირს 700—800 მან. მაშინ, როდესაც ჩვენის ტურფა საქართველოს სხვა ნაწილებში უპატრონობისა გამო მიწა ტყედაა ქცეული. მაგალითებრ სოხუმის ოლქსა და ქობულეთის ნაწილში.

მე მინდა მკითხველთა ყურადღება მივაქციო სოხუმის ოლქს.

უკანასკნელ რუს-ოსმალოთ შორის ომის გათავების შემდეგ ადგილობრივმა მთავრობამ ყურადღება მიაქცია ამ მხრივ ჩვენის გლეხობის უკიდურესს მდგომარეობას და ბევრს, უფრო მეგრელებს, ურჩია დასახლებულიყვნენ აფხაზეთის გაუკაცრიელებულ, ცალიერს მამულზედ; რამოდენიმე სოფელი სოხუმის ოლქში კიდეც დაასახლა მეგრელებით. გარნა რამოდენისამე ხნის შემდეგ ადგილობრივ მთავრობის აზრი სოხუმის ოლქის შესახებ შეიცვალა და მეგრელთ აღეკრძალათ აფხაზეთში ცალიერ სახელმწიფო ადგილებზედ დასახლება.

მე ვგონებ, ამისი ბრალი უფრო ჩვენ გვედება, ვიდრე სხვას: ეს სულ ჩვენის უთავობის, უვიცობის, უმოქმედობისა და უსიყვარულობის ბრალია! ჩვენში ძნელად თუ გამოჩნდება იმისთანა მადლიანი კაცი, თითო ოროლას გარდა, რომ „სხვისი ჭირი ღობის ჩხირად“ არ მიაჩნდეს, რომ გალატაკებულ, დაბეჩავებულ გლეხკაცობის უბედურება აწუხებდეს, მისი ბედნიერება გულს სიამეს ჰფენდეს, მისი ჭირი, ჭირად მიაჩნდეს და ლხინი ლხინად. ჩვენ უფრო ვყბედობთ, ვიდრე სასარგებლო, საშვილიშვილო რამ საქმეს ვაკეთებთ. საზოგადოდ დღევანდელმა ქართველმა შეიძლება რამე საშვილიშვილო საქმესაც მოჰკიდოს ხელი, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ რომ ამ საქმეს შეუძლიან მისი სახელი კიდით-კიდე მთელს საქართველოს მოჰფინოს.

პატარა, გარნა სასარგებლო საზოგადო საქმის უჩინრად გაკეთება ჩვენ არ გვეხერხება, უფრო არა გვსურს, არ გვეკადრება!

ოთხმოციან წლებში, მაშინვე ზავის ჩამოგდების შემდეგ, ამ საქმისთვის რომ მოგვეკიდა ხელი და ერთის მხრივ მთავრობისთვის აგვეხსნა, რა გაჭირვებულს მდგომარეობაშია ჩვენი გლეხობა უმიწა-წყლობით და მეორეს მხრივ გლეხობისთვის მიგვეცა შეძლება აფხაზეთის გაცნობისა, მაშინ, უეჭველია, ამას მთავრობა ყურადღებას მიაქცევდა და კიდეც დაასახლებდა ამ ნაწილში ქართველობას და არა ცხრა მთის გადაღმიელ ბერძნობას. ამას მით უფრო შეიწყნარებდა, რომ ქართველობას არა ერთგზის ულვრია ამ მიწებზედ თავისი სისხლი და თავისი ვაჟკაცობით დიდებულ რუსეთის დროშა უსახელებია. გარნა, ვიმეორებ, ამისთანა უმნიშვნელოსთვის გვეცალა მაშინ? არა და არა!

თუ აქამდის ამ საქმისთვის არ მიგვიქცევია ყურადღება, დღეს მაინც მივაქციოთ და ვიშუამდგომლოთ საცაც ჯერ არს, რომ ჩვენს გაჭირვებულს გლეხობას ყურადღება მიაქციოს. ამ გლეხობისთვის საუკეთესო დასასახლებელ ნაჭრებად ჩვენ მიგვაჩნია „დალი“ და „წებელი“ (ანუ რუსულად „წებელდ“). ეს მხარე ბუნებით არ განსხვავდება რაჭა-ლეჩხუმს.

გარდა ამისა, კარგს იზამდნენ, რომ აქაურ ღარიბ-ღატაკ თავად-აზნაურობისაგან მიწების („ნადელების“) შესყიდვის შეძლებას მისცემდნენ გლეხობას: აქ დღეს ოხრის ფასად იყიდება თავად აზნაურობის „ნადელები“.

იმედია, ეს ჩემი ხმა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

ჰამუთ—ბეი

## რუსეთი

—

სახელმწიფო რკინის გზების სამმართველომ დაადგინა შემოიღოს რკინის გზების მოხელეთა დაზღვევა და 25% იმაზედ ნაკლები სადამზღვევო გარდასახადი გარდაახდევინოს, ვიდრე სააქციონერო დამზღვევი საზოგადოებანი ახდევინებენ.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მომავალ ზაფხულს განსაკუთრებული მცოდნე კაცები იქმნან დაგზავნილნი პროვინციებში, რომელთაც სოფლის მასწავლებლებს უნდა გააცნონ იმ ბალახეულობისა და მცენარეულობის თესვა-მოყვანის ხელი, რომელიც გამოსადეგია წამლეულობის დასამზადებლად.

— მიწათ-მოქმედებისა და გზათა სამინისტროებში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ იმ ადგილების რკინის გზების სადგურებთან, სადაც ხვნა-თესვას მისდევენ, დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული საწყობები და ამ საწყობებში სამიწათ-მომქმედო იარაღები ისყიდებოდესო.

## უცხოეთი

—

**ჩინეთი.** როგორც უკვე ყველამ უწყის, უმთავრესი ყურადღება ევროპის დიდთა სახელმწიფოთა ამ ჟამად ჩინეთისაკენ არის მიქცეული. ყველანი დიდად მოწადინებულნი არიან როგორმე მოახერხონ და გამოჰგლიჯონ ამ უზარ-მაზარს სახელმწიფოს რომელიმე კუნჭული. თითქმის ყოველ დღე გაცხარებული მოლაპარაკებაა ჩინეთის სენატის ცუნგ-ლი-იამენსა და სახელმწიფოთა ელჩებს შორის. ჩინეთი ყოველ ღონესა ღონობს, რომ ყველანი დააკმაყოფილოს და არც ერთის რისხვა არ გამოიწვიოს, მაღალს სიტყვას არავის არ უბნება, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყო და ევროპის სახელმწიფონი ვერ დააკმაყოფილა. პირიქით, რაც დღე გადის მით უფრო მწვავდება ჩინეთის საქმე. გუშინ ჩინეთიდგან დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ ჩუნგკინგის მახლობლად ადგილობრივი მცხოვრებლები დაეცნენ ამერიკის მკურნალებს და სცემესო. ერთი მათგანი კიდეც მოუკლავთ. ეჭვი არ არის, რომ ეხლა, ამ ამბის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატებიც ჩაერევიან ჩინეთის საქმეში და დაკმაყოფილებას მოითხოვენ. გერმანიაც ხომ ასე მოიქცა: ერთის მისიონერის მოკვლის გულისთვის ჩინეთს მთელი ნავთ-სადგური წაართვა. ამ ჟამად ჩინეთის სხვა-და-სხვა ნავთ-სადგურებში ევროპის დიდთა სახელმწიფოთა მრავალი სამხედრო გემებია დგუნებული. ეჭვი არ არის, რომ ეხლა მათ ამერიკის შეერთებული შტატებიც მიუმატებენ თავიანთ სამხედრო გემებს.

—

## † ლორდი სტანსფილდი

(ჩვენის ლონდონელ კორრესპონდენტისაგან)

ამ ორის თუ სამის კვირის წინად ინგლისელებმა დაასაფლავეს მესამოცე წლების ერთი საუკეთესო მოღვაწეთაგანი ჯონ სტანსფილდი, რომელიც 78 წლისა გარდაიცვალა. ლორდი სტანსფილდი არა ერთხელა და ორჯელ ყოფილა დ. როსსელისა, დარბისა და გლადსტონის სალიბერალო სამინისტროთა წევრად. სტანსფილდის დაუღალავის მშრომელისა და უანგარო მოღვაწის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მაგრამ ყველაზედ უფრო მალიან მან საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა იმ მონაწილეობისა და შრომისათვის, რომელიც ყოველს საეკონომიო ₰ საზოგადო ცვლილებათა შემოღების დროს გამოიჩინა. სტანსფილდის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ფორსტერისა და სხვათა გამოჩენილ მოღვაწეთა სახელთან. განსაკუთრებით სტანსფილდის რაინდულმა ხასიათმა და პატიოსნებამ იჩინა თავი მაძინისა, გარიბალდისა და იტალიელ სხვა პატრიოტებთან დამოკიდებულების დროს. სტანსფილდის სახლის კარი ყოველთვის ღია იყო იმათთვის. მაძინისთან დაახლოვებისათვის 1859 წელს ისა და ახალგაზდა მიუნსტერი იძულებული გახდნენ თავი დაენებებინათ სამინისტროსათვის, მაგრამ ამის შემდეგ სტანსფილდი ოთხჯელ კიდევ იყო მინისტრად და სიკვდილამდე დიდს დახმარებასა და მეგობრობასაც უწევდა ყველა გაჭირვებულ ერთა. სომხთა და ბერძენთ გაჭირვებულ დროს მან დიდი მფარველობა და მეგობრობა გაუწია.

ვ. მარველი

## დამაკვირდი

არა სწორობს ცოდვა მღდლისა და მეფისა, არცა ერისა და მღდელთ-მთავრისა.

მეფე დიმიტრი აღმაშენებლის ძე

***

სათნოებათა ყოველთა თავი მორჩილება არს და ნებისა თვისისა მოკვეთა.

წმ. გიორგი მთაწმინდელი

***

სახე და სახელი კეთილი საუკუნოდ გზად გვყვების.

მეფე გიორგი III

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟის გაზეთი „Matin“ იუწყება, რომ დრეიფუსის საქმემ რამდენიმე კაცი უკვე იმსხვერპლა. თურმე გაზეთების კითხვით საფრანგეთში რამდენიმე კაცი ჭკუაზედ შესცდა. ამ უბედურთა შორის არის ერთი კაცი იოსებ ლერვე, ჟენვილიეს მცხოვრები. თურმე ეს კაცი ყველა გაზეთებსა კითხულობდა, სადაც-კი რამ იბეჭდებოდა ზოლას საქმის შესახებ. გაზეთების კითხვამ ისე გაიტაცა, რომ ჭამა-სმაც ავიწყდებოდა ხოლმე. ამ ცოტა ხნის წინად დაეტყო სულით ავადმყოფობა. ღამე თავისის სახლის გარშემო დარბოდა და ჰყვიროდა—ურიები მდევნიანო. ამას წინად ეს საბრალო ავადმყოფი კაცი ასულა სახლის სახურავზედ და დაუწყია ყვირილი: შორს ჩვენგან ურიები! სიკვდილი მოღალატეთ! შორს ჩვენგან ზოლა! პოლიციას უნდოდა დაეჭირა, მაგრამ ლერვემ სახურავზედ დაიწყო სირბილი. პოლიციელს შეეშინდა, არ გადმოვარდესო და შემდეგი ღონისძიება იხმარა: დაარწმუნა

ლერვე, მე პოლიციელი ვარ, გავიგე, რომ ურიები გდევნიან და მოვედი შენ დასაფარავადო. ამ გვარად მოატყუეს ავადმყოფი, ჩამოიყვანეს ძირს და სამკურნალოში წაიყვანეს.

* * *

სასაცილო და ახირებული ამბავი მომხდარა ტურინში. ოპერის დირექტორს ერთის სასტუმროს პატრონის ქალის ვალი-დაედო და არ-კი აძლევდა. ამავე სასტუმროში იდგა ოპერის არტისტი ქალი ლოსსო. სასტუმროს პატრონი რომ ვერაფერს გახდა, შემდეგს საშუალებას მოჰკიდა ხელი. წარმოდგენის დაწყებას რომ სულ ერთი საათი-ღა უკლდა კარი ჩაუკეტა ლოსსოს და დირექტორთან წავიდა კვლავ ფულის სათხოვნელად. დირექტორმა ჩვეულებრივ უპასუხა: რაც გნებავთ მთხოვეთ, ფულს-კი ნუ მთხოვთ — არა მაქვს.

— სანაძლეო რა იყოს, რომ მე თქვენგან დღესვე მივიღებ ჩემს ფულს.

— ხომ არ გაგიჟდით.

ამ დროს დირექტორს მოახსენეს, რომ არტისტი ქალი ლოსსა ჯერ არ მოსულაო.

— კაცი გაუგზავნეთ სახლში.

— გავგზავნეთ, მაგრამ შინ არ არის. კარ ჩაკეტილია.

დრო მიდიოდა და თუ არტისტი ქალი არ მოვიდოდა, წარმოდგენა უნდა გადაედოთ.

— მომცემთ, თუ არა ჩემს ფულსა, ჰკითხა დირექტორს სასტუმროს პატრონმა.

— დაიკარგეთ თქვენის ფულითა. ისა სჯობიან ლუგუ ლოსსო იპოვნეთ სადმე.

— ფული მომეცით და მოგიყვანთ.

— იცით, სად არის?

— როგორ არა, მე თითონ დავაპატიმრე.

დირექტორმა არ იცოდა რა ექმნა სიბრაზისაგან. ჯერ ევაჭრა, იქმნება ცოტას მაინც დამჯერდესო, იყვირა, ეჩხუბა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბოლოს სასტუმროს პატრონს ფული მისცა და დაემუქრა, არ ვიცი, რას გიზამ, თუ ლოსსო არ მოვიდა.

— მოვა, მოვა, ბ-ნო დირექტორო. ეტლით გამოვგზავნი. ეტლით, მართლაც, 10 წუთის შემდეგ არტისტი ქალი ლოსსო მოვიდა თეატრში და საზოგადოება დიდის ალტაცებით მიეგება თურმე. ეს ამბავი როგორღაც შეუტყვია თეატრში მყოფ საზოგადოებას.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

6 მარტი

**კონსტანტინეპოლი.** პორტამ მიჰმართა თავისს ელჩებს საყოველთაო მიწერილებით, რომელშიაც, აღნიშნავს რა სახელმწიფო უკანასკნელს საყოველთაო მიწერილობას, თხოულობს, რომ რაც შეიძლება მალე იქმნას დასრულებული კრიტის საქმე. შემდეგ მიწერილობაში ნათქვამია, რომ პორტას აზრადა აქვს მიჰმართოს ხსენებულ საგნის შესახებ სახელმწიფოთ, გაუგზავნოს ნოტა და ხელ-ახლად აღძრას ლაპარაკი იმის გამო, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორად ოსმალეთის ქვეშევრდომი იქმნას დანიშნული. იმ წრეებში, რომელნიც პორტასთან დაახლოვებულნი არიან, ამბობენ, პირ-იქით, რომ ოსმალეთის მთავრობას ჰსურს მხოლოდ მიჰმართოს სახელმწიფოთ და სთხოვოს, რომ რაც შეიძლება საჩქაროდ დასრულებულ იქმნას კრიტის საქმე. ამავე წრეებში აცხადებენ, რომ რუსეთის ელჩოს არ გადაუცია ოსმალეთისათვის არავითარი ნოტა დარჩენილისა სამხედრო გარდასახადის შესახებ და შესაძლებელია მეგობრული მორიგება მოხდესო.

**პეკინი.** ფრანგებს მოლაპარაკება აქვთ კონცესიის შესახებ სამხრეთში ხაინანს, კვანგსა და კვანტუნგის პროვინციებში. არავინ უწყის, საქმე დასახელებულ ადგილების იჯარით აღებას შეეხება, თუ რკინის გზის კონცესიის გაფართოებას.

7 მარტი

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ პეკინიდგან, ფრანგები თხოულობენ, რომ ჩინეთის საფოსტო უწყების გამგედ ფრანგი იქმნას დანიშნულიო. ჩინეთმა რვა დღის განმავლობაში უნდა მისცეს პასუხი. საფრანგეთი თხოულობს, რომ ჩინეთმა არავის დაუთმოს ოთხი პროვინციის ნაწილი, სახელდობრ, გუანდუნისა, გუანაესი, იუნანისა და გაიჯოუისა. საფრანგეთის სხვა მოთხოვნილებანი შეეხება რკინის გზის გაგრძელებას ლეიჯოუდგან, რკინის გზის გაყვანას იუნინის შუაგულ ადგილებში, აგრეთვე ლეიჯოუში ნახშირის საწყობის სადგურის დაარსებას. ყველა ამაზედ ჩინეთმა უარი შეუთვალა.

**პეტერბურგი.** 1 მარტს მომხდარს მეორე შინაგან სესხის მომგებიან ბილეთების ტირაჟში მოგება შემდეგს ბილეთებსა ჰხვდა:

| №№ სერიისა. | №№ ბილეთისა. | მოგება. | №№ სერიისა. | №№ ბილეთისა. | მოგება. |
|---|---|---|---|---|---|
| 2260 | 34 | 200000 | 18901 | 11 | |
| 886 | 6 | 75000 | 19185 | 50 | |
| 18918 | 40 | 40000 | 9738 | 45 | ც |
| 7876 | 21 | 25000 | 15330 | 48 | |
| 6096 | 33 | 10000 | 13619 | 12 | ხ |
| 11851 | 20 | 10000 | 14526 | 47 | |
| 8560 | 27 | 10000 | 4261 | 4 | ე |
| 9648 | 29 | 8000 | 14337 | 23 | ნ |
| 12957 | 32 | 8000 | 16044 | 12 | ა |
| 8373 | 38 | 8000 | 542 | 31 | მ |
| 12598 | 1 | 8000 | 13714 | 35 | |
| 17433 | 31 | 8000 | 3033 | 10 | ც |
| 370 | 39 | 5000 | 15355 | 49 | ს |
| 13256 | 13 | 5000 | 5663 | 32 | ა |
| 1253 | 18 | 5000 | 18139 | 47 | |
| 7305 | 10 | 5000 | 3746 | 42 | ხ |
| 12005 | 23 | 5000 | 9229 | 7 | |
| 15202 | 43 | 5000 | 15388 | 5 | ა |
| 15354 | 17 | 5000 | 11858 | 23 | |
| 4561 | 1 | 5000 | 5291 | 11 | |

ხუთას მანეთიანი მოგება.

| №№ სერიისა. | №№ ბილეთისა. | №№ სერიისა. | №№ ბილეთისა. | №№ სერიისა. | №№ ბილეთისა. |
|---|---|---|---|---|---|
| 535 | 1 | 2872 | 16 | 18862 | 33 |
| 1001 | 1 | 3762 | 16 | 410 | 34 |
| 3761 | 1 | 8500 | 16 | 2421 | 34 |
| 10657 | 1 | 9077 | 16 | 5347 | 34 |
| 12118 | 1 | 4037 | 17 | 6127 | 34 |
| 13469 | 1 | 6232 | 17 | 6530 | 34 |
| 15995 | 1 | 12050 | 17 | 10201 | 34 |
| 18112 | 1 | 14377 | 17 | 9022 | 35 |
| 3581 | 2 | 3258 | 18 | 10189 | 35 |
| 7267 | 2 | 15991 | 18 | 12012 | 35 |
| 9443 | 2 | 1723 | 19 | 17804 | 35 |
| 16867 | 2 | 3553 | 19 | 19566 | 35 |
| 2712 | 3 | 3696 | 19 | 9548 | 36 |
| 3356 | 3 | 13994 | 19 | 14433 | 36 |
| 3590 | 3 | 1624 | 20 | 17094 | 36 |
| 13036 | 3 | 4426 | 20 | 17582 | 36 |
| 13557 | 3 | 6256 | 20 | 18418 | 36 |
| 16781 | 3 | 6463 | 20 | 19238 | 36 |
| 6514 | 4 | 7280 | 20 | 855 | 37 |
| 7952 | 4 | 11256 | 20 | 13352 | 37 |
| 9383 | 4 | 12189 | 20 | 15765 | 37 |
| 19224 | 4 | 14029 | 20 | 659 | 38 |
| 1011 | 5 | 18736 | 20 | 12109 | 38 |
| 1475 | 5 | 10173 | 21 | 13555 | 38 |
| 2152 | 5 | 10335 | 21 | 16049 | 38 |
| 4104 | 5 | 16153 | 21 | 1851 | 39 |
| 10894 | 5 | 18290 | 22 | 2857 | 39 |
| 12462 | 5 | 3175 | 23 | 10086 | 39 |
| 14945 | 5 | 4087 | 23 | 10895 | 39 |
| 17643 | 5 | 7397 | 23 | 17443 | 39 |
| 6169 | 6 | 16263 | 23 | 17650 | 39 |
| 7551 | 6 | 17836 | 23 | 2936 | 40 |
| 9296 | 6 | 4415 | 24 | 5147 | 40 |
| 12924 | 6 | 7636 | 24 | 11558 | 40 |
| 16237 | 6 | 8266 | 24 | 12214 | 40 |
| 5626 | 7 | 11197 | 24 | 15332 | 40 |
| 6822 | 7 | 11402 | 24 | 18114 | 40 |
| 8226 | 7 | 13304 | 24 | 19973 | 40 |
| 9919 | 7 | 14003 | 24 | 7358 | 41 |
| 10611 | 7 | 9561 | 25 | 11091 | 41 |
| 12465 | 7 | 11050 | 25 | 11387 | 41 |
| 1953 | 8 | 11676 | 25 | 5001 | 42 |
| 5157 | 8 | 14454 | 25 | 7185 | 42 |
| 6197 | 8 | 17113 | 25 | 10845 | 42 |
| 12630 | 8 | 185 | 26 | 12458 | 42 |
| 15336 | 8 | 3504 | 26 | 14887 | 42 |
| 8195 | 9 | 10782 | 26 | 15442 | 42 |
| 9688 | 9 | 18495 | 26 | 1277 | 43 |
| 10050 | 9 | 4412 | 27 | 2221 | 43 |
| 10210 | 9 | 6908 | 27 | 4237 | 43 |
| 11772 | 9 | 7189 | 27 | 4316 | 43 |
| 17430 | 9 | 7986 | 27 | 4630 | 43 |
| 19522 | 9 | 11950 | 27 | 5452 | 43 |
| 3148 | 10 | 14331 | 27 | 8164 | 43 |
| 3266 | 10 | 18040 | 27 | 598 | 45 |
| 11924 | 10 | 19805 | 27 | 1461 | 45 |
| 16033 | 10 | 9971 | 28 | 4098 | 45 |
| 16993 | 10 | 11937 | 28 | 9286 | 45 |
| 17059 | 10 | 14232 | 28 | 11693 | 45 |
| 11033 | 11 | 14846 | 28 | 12244 | 45 |
| 12260 | 11 | 17330 | 28 | 19913 | 45 |
| 5542 | 12 | 3276 | 29 | 3363 | 46 |
| 8915 | 12 | 5437 | 29 | 5990 | 46 |
| 9648 | 12 | 6903 | 29 | 11149 | 46 |
| 17122 | 12 | 7586 | 29 | 17993 | 46 |
| 19344 | 12 | 7620 | 29 | 19676 | 46 |
| 19985 | 12 | 8878 | 29 | 2533 | 47 |
| 5488 | 13 | 10762 | 29 | 9704 | 47 |
| 11199 | 13 | 3827 | 30 | 10840 | 47 |
| 13025 | 13 | 7340 | 30 | 12487 | 47 |
| 16000 | 13 | 13708 | 30 | 18429 | 47 |
| 17525 | 13 | 19009 | 30 | 18773 | 47 |
| 17619 | 13 | 1004 | 31 | 901 | 48 |
| 18525 | 13 | 2353 | 31 | 4248 | 48 |
| 1253 | 14 | 3831 | 31 | 5922 | 48 |
| 7325 | 14 | 5713 | 31 | 6851 | 48 |
| 10073 | 14 | 15113 | 31 | 13670 | 48 |
| 11493 | 14 | 1153 | 32 | 15722 | 48 |
| 14848 | 14 | 1850 | 32 | 17548 | 48 |
| 15148 | 14 | 4159 | 32 | 2269 | 49 |
| 18754 | 14 | 5577 | 32 | 7365 | 49 |
| 7897 | 15 | 10259 | 32 | 8647 | 49 |
| 14605 | 15 | 17306 | 32 | 11698 | 50 |
| 16590 | 15 | 17352 | 32 | 16297 | 50 |
| 19907 | 15 | 1726 | 33 | 17020 | 50 |
| 830 | 16 | 3525 | 33 | 17674 | 50 |
| 2226 | 16 | 17233 | 33 | | |

ტირაჟი შეხვდა სერიათა შემდეგს ნომრებს:

16,244, 7,736, 1,478, 15,736, 8,260, 15,906, 10,419, 6,707, 1,177, 3,628, 5,178, 7,575, 1,115, 17,594, 17,840, 1,093, 8,738, 748, 9,158, 11,864, 6,355, 11,984, 6,985, 1,842, 17,656, 17,027, 9,052, 4,460, 15,016, 14.117, 12,419, 18,455, 1.850, 12,387, 8,733, 15,354, 12,404, 4,633, 6,309, 8,500, 5,081, 4,278, 15,753, 13,089, 11,011, 15,846, 4,063, 3,433, 2,169, 10,725, 2,839, 16,226, 16,781, 8,593, 8,857, 3,984, 5,655, 342, 7,026, 5,426, 15,237, 3,084, 4,366, 3,972, 4,412, 2,437, 7,382, 18,702, 7,231, 2,709, 6,721, 16,573, 265, 5,215, 6,498, 15,159, 19,113, 12,486, 12,950, 934, 18,834, 17,572, 19,731, 10,142, 13,556, 6,696, 9,357, 16,218, 11,055, 10,648, 2,312, 14,136 5,505, 5,594, 1,192, 10,050, 3,368, 5,479, 10,045, 16,380, 6,553, 4,392, 2,338, 11,936, 19,906, 4,975, 4,753, 15,801, 15,105, 12,054, 3,576, 13,345, 14,742 11,925, 9,186, 14,031, 17,969, 9,949, 14,490, 4,009, 15,393, 9,217.

პეტერბურგის ბირჟა, 6 მარტი

| | მყიდველნი. | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | „ — | — „ | 219 |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 99¾ | — „ | „ — |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 101½ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 284½ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | „ — | — „ | 249 |

## „ივერიის“ ფოსტა

**ქ. ბ—ო. ჟვარას.** ბაქოში გამართულ ქართულ სადამოს შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა წერილი დაბეჭდილი.

**მეტეხელს გლეხს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ექ. ბ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**კონდოლელს.** დაუსაბუთებელი ბრალდებაა და არ დაიბეჭდება.

**დილიკაურელს.** არ დაიბეჭდება.

**სოფოის.** შეგვატყობინეთ, რა განაჩენია დადგენილი და, თუ შეიძლება, პირიც გამოგზავნეთ მაგ განაჩენისა.

**თავისუფალს.** არ დაიბეჭდება.

**სადგ. ა—ა. მ. აბ—იანს.** გამოგზავნეთ და ვნახავთ.

**ი. ნ. ჩ—იანს.** ეგ „თქვენი“ ლექსი თქვენი არ გახლავთ—პუშკინისაა. ეწოდება „Подъ вечеръ осенью ненастной...“ —ეგ ლექსი თავ. რ. ერისთავსა აქვს გადმოთარგმნილი და ნურაფერს უკაცრავად, ცოტა თქვენზედ უკეთესადაც არის ნათარგმნი.

**ნიკო თიანელს.** მარილ-კვერსაც ვერ გაუკეთებია თქვენი ლექსი.

**მუნდირს.** თუ შეიძლება, სააპელაციო საჩივრის პირი გამოგვიგზავნეთ.

**კორესპონდენტებს.** უადგილობის გამო 22 თებერვალს სხვა-და-სხვათაგან წარმოთქმულს ქადაგება-სიტყვათ ვერა ვბეჭდავთ.

**აჭაურს (ს. მ.)** საბუთები წარმოგვიდგინეთ: ოქმის შემოწმებული პირი და სხვანი.

**ხ—რი. სტ. ნოზაძეს.** შეგიძლიანთ „ივერიის“ რედაქციაში წარმოგზავნოთ და ჩვენ გარდავცემთ.

**ჩაქურს.** არ დაიბეჭდება.

**დ. ნ—დელს.** „ცხოვრების სურათები“ არ დაიბეჭდება.

**ს. ა—თი. ა. გ—ს.** თქვენი თარგმანი „ქრისტე აღდგა“ მივიღეთ.

**ს. ნ—რი. მ. კაჭ—ვას.** „ცნობის ფურცელს“ მიჰმართეთ. ჩვენ რომ იქ დაბეჭდილ კორესპონდენციების საწინააღმდეგო წერილები ვბეჭდოთ და იმათი შეცდომები ვასწოროთ, მარტო ამას მოუნდება ერთი სხვა გაზეთი და მაგისთვის სადა გვცალიან.

**ქ. ბ—მი. ო. ლ. ს—შვილს.** არ დაიბეჭდება.

**გურია. მ. რ—ლს.** არ დაიბეჭდება.


# განცხადებანი

## ისყიდება

ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სურათები აბრეშუმზა, ფარჩასა და ატლასზედ გადაღებული, აგრეთვე თამარის სურათი სხვა-და-სხვა გვარად გადაღებული ფანჯრის ფარდებისა, შირმებისა და ბალიშებისათვის, ღირს 2—3 მანეთამდე, ლამპრის საფარებელი—2—3 მან., აბრეშუმის ხელსახოცები—60—80 კ., დიუჟინობით ნაკლებ, წიგნში ჩასადები ლენტები ღირს 30—50 კაპ., აგრეთვე ლენტები პორტფელისათვის 50 კაპ. მსურველთ შეუძლიანთ იყიდონ ან გამოიწერონ ტფილისიდგან. სემენოვის ქუჩა, სახლი ხერუმოვისა № 13, ა. რადიონოვისაგან. (5—6.—1)

ე. ფ. აუფერმანის

## მანქანათა საწყობი




ტფილისში

აცხადებს, რომ ბერლინის გ. ფ. ეკკერტის ქარხნისა და ოდესის ი. ი. გენის ქარხნის ფოლადის გუთნები ამ სეზონში გაიყიდება

ქალაქ სიღნაღში

ამირან სერგეის ძე შავერდოვთან შავერდოვის ქარვასლაში, ზემო ბაზარში. (10—39—6)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს ყველას, რომ 11 ამა მარტსა, ნაშუადღევის პირველ საათზედ, გამგეობის სადგომში იქმნება

## საჯარო ვაჭრობა

ნაჭერის მიწის იჯარით გასაცემად. მიწა ზომით 263 ოთხ კუთხი საჟენია, შეშის საწყობად გამოსადეგი, მდებარეობს მე-10 ნაწილში, რკინის გზის მახლობლად. ეს მიწა იჯარით ამ ჟამად ჩემოდანოვსა აქვს. (2—6.—2)

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერეულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი. (წ.)


Дозволено цензурою. Тифлисъ 7-го Марта 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.